პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 134 (3111)

13 1966 წ. ივლისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII იწყლისი



მაო ასე. ბურთი თამაშია

ლონდონი, 11 ივლისი (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტები ს. ივანოვი, ნ. კისელიოვი). გასულ ორშაბათს, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ინგლისი—ურუგვაის ნაკრები გუნდების მატჩით გაიხსნა მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში (ჟიულ რიმეს თასის გათამაშება).

საზეიმო ცერემონიალი დაიწყო გვარდიული ორკესტრის სვლით. 19 საათსა და 5 წუთზე გრინვიჩის დროით სტადიონზე გამოჩნდნენ მედროშენი — ფინალის მონაწილე 16 ქვეყნის სახელმწიფო ალმებით. დაფდაფები და საყვირები მაყურებლებს აუწყებენ, რომ სტადიონზე მოვიდა ინგლისის დედოფალი ელისაბედ II, რომელიც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პატრონესაა. მას ახლავს ჰერცოგი ედინბურგელი. ორკესტრი ასრულებს დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ჰიმნს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სტენლი როუზი დედოფალს თხოვს გახსნას ჩემპიონატის დასკვნითი თამაშები. სტადიონის თავზე აღიმართა 16 სახელმწიფოს ალამი. 30 ივლისს, როცა გაირკვევა ფინალურ მატჩში გამარჯვებული გუნდი, ამ ალმებიდან იფრიალებს მხოლოდ ერთი.

მინდორზე გამოდიან ინგლისისა და ურუგვაის გუნდები. მოთამაშეებს ოფიციალურად წარუდგენენ დედოფალს, სრულდება ურუგვაის სახელმწიფო ჰიმნი და უნგრელი მსაჯის — ი. უოლტის სასტვენის ხმაზე ბ. ჩარლტონს თამაშში შეჰყავს ბურთი. ჩემპიონატის დასკვნითი ბრძოლები დაიწყო.

ინგლისელი კოლეგები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გვესაუბრნენ გუნდის მოთამაშეთა განლაგების შესახებ. მათი ნათქვამი გამართლდა: 4 ფეხბურთელი დაცვაში, 3 ნახევარდაცვაში, 3 თავდასხმაში (გრიფსი, ჰანტი და კონელი). დისპეტჩერის როლს ასრულებდა ბ. ჩარლტონი (იგი ოდნავ უკანაა დაწეული), რომელიც ხშირად ურტყამდა მეტოქის კარში. შეტევებში ხშირად მონაწილეობდნენ მცველი კოენი და ცენტრალური მცველი ჯ. ჩარლტონი.

ჩვენთვის ცნობილი იყო ინგლისელთა მეტოქის საერთო სქემაც. (1—4—3—2), მაგრამ ურუგვაელები ამჯერად სულ სხვაგვარად მოქმედებდნენ. წინასწარდასახული გეგმიდან მათ მხოლოდ ტროჩე დატოვეს „მწმენდელის“ როლში, წინ კი, შეტევაზე, იმყოფებოდა სილვა. საერთოდ, სამხრეთამერიკელთათვის ძალზე ძნელი იყო განეხორციელებინათ მკაცრი სისტემა, ვინაიდან ხშირად უხდებოდათ ინგლისელთა ძლიერი იერიშების მოგერიება. უკვე პირველი 5 წუთის შემდეგ ურუგვაის კართან მოწოდებული იქნა 3 კუთხური. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა მეკარე მაზურკევიჩი განუწყვეტლივ ებმებოდა თამაშში.

სტუმრებს მხოლოდ მე-10 წუთზე მიეცათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ პირველი გააზრებული კომბინაცია, რომელიც მათი ერთ-ერთი მოთამაშის თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნით დასრულდა. ინგლისელმა მეკარემ — ბენქსმა ნამდვილი საფრთხე იგრძნო მხოლოდ შუა ტაიმში, როცა ნახტომით მოიგერია ძლიერად დარტყმული ბურთი.

და მაინც ურუგვაელები საკმაოდ ხშირად უტევდნენ. თუმცა ძალზე ნელა გადიოდნენ მინდვრის ცენტრში, რითაც ფაქტიურად „უზრუნველყოფდნენ“ მასპინძლების კარის უსაფრთხოებას.

აი, რამდენიმე მომენტი. მე-15 წუთი. კონელის მიერ შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა კარს. ინგლისელთა 2 კუთხური. 28-ე წუთი. საჯარიმოს ჩინებულად გათამაშების შემდეგ ბ. ჩარლტონს კინაღამ გააქვს გოლი და კვლავ კუთხური. 33-ე წუთი. ინგლისელთა 4 თავდამსხმელი მეტოქის სამი მცველის წინააღმდეგ მანისერა ძლივს უსწრებს და მდგომარეობა სწორდება. იერიში ხშირია, მაგრამ იგრძნობა ორივე გუნდის ფეხბურთელთა შებოჭილობა. მეტოქეები შესვენებაზე გადიან, ელექტროტაბლოზე კი კვლავ 2 ნულია აღბეჭდილი.

ურუგვაელთა გეგმა გასაგებია. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების მიზანი უფრო მეოთხედფინალში გასვლა იყო, ვინემ ინგლისელების დამარცხება, რომლებიც ჯგუფის ფავორიტები არიან. მათს შანსებს ბოლო ხანებში უფრო რეალურად თვლიან, ვიდრე ბრაზილიელებისას. სწორედ ამიტომ ფრე ხელსაყრელი იყო ურუგვაელთათვის. ტურნირის მასპინძლები ცუდ დღეში იყვნენ. მიიღეს რა ჩემპიონატის გახსნის ტრადიციული უფლება, მათ, ალბათ, გულით სურდათ გაემართლებინათ „უემბლის“ სტადიონის ტრიბუნებზე მსხდარი გულშემატკივრების იმედები. ისინი რასაკვირველია, ინგლისელთა გამარჯვებას ელოდნენ. სხვა შედეგი გულშემატკივრებს ხელს არ აძლევდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან ბოლომდე ინგლისელები მძაფრად და სახიფათოდ უტევდნენ, თამაში თითქმის მხოლოდ ცალ კარში მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. ეს იყო დიდი დაძაბულობის მატჩი, როგორც ეს მსოფლიო ჩემპიონატს შეეფერება, მიუხედავად იმისა, რომ ალებული არ იქნა არც ერთი კარი.

• • •

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ინგლის-ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის ერთ-ერთ მომენტს. ფოტოსურათი ტელეეკრანიდან მოამზადა ა. ვართანოვმა.

საინტერესო ინფორმაციები

◆ პარიზი — 14 ივლისი. ეტაპის შემდეგ „ტურ დე ლავენირის“ ველოსიპედში ლიდერობს იტალიელი დენტი (38:10.16). საბჭოთა სპორტსმენი ა. დოხლიაკოვი მე-14 ადგილზეა — 38:19,49.

◆ პრაღა, 12 ივლისი. როშიცის მემორიალზე ვ. ნორდვიგმა (გდრ) ჭოკით ხტომაში აჩვენა 510 სმ და 20 სმ-ით აჯობა ამერიკელ კრემერს, დამარცხდა მეორე ამერიკელიც — ცნობილი ბადროს მტყორცნელი რ. ბაბკა. ამ სახეობაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა ლ. დანეკმა — 60,45.

◆ სანტა-მონიკა. 12 ივლისი. კალიფორნიის ამ ქალაქში მოწყობილ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ჯ. ანდერსენმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 10,2. ამ დისტანციაზე ქალთა შორის გაიმარჯვა ბ. ფერელმა — 11,3. რ. ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში გადალახა 809 სმ.

◆ ოლშტინი, 12 ივლისი. აქ მოწყობილ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მოსკოველმა ბ. ბანტლემ 3000 მეტრის გარბენას მოანდომა 8.51,8. 5-კილომეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა საბჭოთა სტაიერმა ვ. კაზანცევმა — 14.12,2, სამხტომში უძლიერესი იყო ს. ნაგორნი (სსრ კავშირი) — 15,90, შუბის ტყორცნა მოიგო პოლონელმა ი. სიდლომ — 80,91.

გუშინ ინგლისის სტადიონებზე

ჯგუფი	სსრ კავშირი — კსდრ	3:0
ჯგუფი	ბრაზილია — ბულგარეთი	2:0
ჯგუფი	გფრ — შვეიცარია	5:0

ინგლისის სპორტული მიმომხილველები ასეთი აზრის არიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი „უემბლის“ სტადიონზე საინაბობრივად არც თუ ისე საინტერესო გამოდგა. ცნობილი კომენტატორი ბრაიან სანდერსი აღნიშნავს: „მინდორზე იყო ორი გუნდი, რომელთა ფორვარდებს მთელი თამაშის მანძილზე სახიფათოდ არც ერთხელ არ დაურტყამთ კარში. მართალია, მეტოქეები ბევრს ცდილობდნენ, ენერგიულად მოქმედებდნენ, კარის აღებისთვის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საშუალებებს იყენებდნენ, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა. ეს კი ძალზე საწყენია — ჩემპიონატის პირველი მატჩი გოლებით უნდა ყოფილიყო უხვი.

მეორე ცნობილი კომენტატორი ბრაიან მური შენიშნავს: „ურუგვაელები ისეთ ნელ ტემპს ავითარებდნენ, რომ უნებლიედ გაგახსენებდათ 30-იანი წლები. მათი თამაში იმ დროის პოპულარულ ცეკვას ფოქსტროტს უფრო წააგავდა, ვიდრე ფეხბურთს. ურუგვაელთაგან მაინც უნდა გამოვყოთ ერთი ფეხბურთელი — პედრო როჩა — ნამდვილი ტალანტი. მისმა ტექნიკამ და შესანიშნავმა გადაცემებმა ნამდვილად მოხიბლა მაყურებელი. მასპინძელთაგან უველაზე კარგად ითამაშეს ძმებმა ჩარლტონებმა. უკანასკნელ 15 წუთში ინგლისელებს შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ მხოლოდ ენთუზიაზმითა და სწრაფი მოქმედებით ამის გაკეთება არც ისე იოლი იყო. მატჩის დამთავრების შემდეგ ზოგიერთმა ინგლისის გუნდი სტვენითაც კი გააცილა, მაგრამ არ მგონია, რომ ჩვენები ამის ღირსნი იყვნენ — „ბეტონის“ წინააღმდეგ თამაში ადვილი როდია“. როცა ბრიტანელმა კომენტატორებმა მატჩის თაობაზე საყვედური გამოთქვეს, მწვრთნელმა ალფ რამსეიმ ასეთი პასუხი გასცა: „უკმაყოფილო ვარ შედეგით, მაგრამ ჩემი გუნდის გამოსვლა მაინც მომეწონა“.

(საკ. ინფ.).



ინგლისის სპორტულ მიმომხილველთა აზრით

ჩემპიონია დ. ასტახიშვილი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბადმინტონში დედაქალაქის წლევანდელმა პირადმა პირველობამ მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა (32 ვაჟი და 20 ქალი). შეჯიბრება უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდა.

სწორედ ამ მასობრივობამ განაპირობა ჩემპიონატის დაძაბულობა და მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ფავორიტთა ადრე დაკანონებულ სიაში. ახალგაზრდების ენერგიულმა იერიშებმა ვეტერანების წინააღმდეგ თავისებური ელფერით შემოსა ასპარეზობა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ გულშემატკივრებმა და საეციალისტებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ორთაბრძოლად აღიარეს ფართო საზოგადოებრიობისთვის უცნობი ბ. დეკოსა და ვ. ფილიშვილის შეხვედრა, რომელიც ფილიშვილის: გამარჯვებით დამთავრდა. მოკლედ ვიტყვით, იგივე ფილიშვილი თბილისის უძლიერესთა „კვარტეტშიც“ შევიდა, ეს ნათლად მეტყველებს ახალგაზრდა მოთამაშის მზარდ ოსტატობაზე.

წლების მანძილზე თბილისის უცვლელი ჩემპიონის ვ. ავდეევის საშიში მეტოქეები იყვნენ ძმები ანატოლი და შემდეგ ალექსანდრე დავიდოვები. ბოლო ხანებში მათ შეემატათ უდავოდ პერსპექტიული და მზარდი სპორტსმენი დ. ასტახიშვილი, რომლის ოსტატობა მაქსიმალურად გამოვლინდა ამ ჩემპიონატში. დ. ასტახიშვილმა თანაბარი ქულები დაგროვეს. მსაჯთა გადაწყვეტილებით, პირველობა მიეკუთვნა უნივერსიტეტის სპორტული კლუბის წევრს დ. ასტახიშვილს, ვინაიდან მას უშუალო გამარჯვება ჰქონდა თანაკლუბელ ვ. ავდეევთან შეხვედრაში. III ადგილი ხვდა ა. დავიდოვს (არმიის სპორტული კლუბი). აღსანიშნავია მე-80 სკოლის IX კლასის მოსწავლეების მ. წვერიკმაზაშვილისა და ლ. ზორინას ტექნიკური დაოსტატება. ამ უკანასკნელმა შეჯიბრებაში III ადგილი დაისაკუთრა, რაც ახალგაზრდა სპორტსმენისთვის დიდი მიღწევაა და მწვრთნელის — ვ. ბორიაკის დამსახურებაცაა.

ვ. ბორიაკის ხელწერა იგრძნობოდა არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლების — დავიდოვის, დეკოს, სანკალოვის და სხვათა გააზრებულ ბრძოლებშიც.

ვაჟთა წყვილებში უდავო ფავორიტად ითვლებოდა ... უპირატესობა. ქალებში იგივე ითქმის ბეჟანოვასა და ევტუხინაზე (უნივერსიტეტის სპორტული კლუბი).

ერთიანობა შეხვედრებში ყველა მეტოქე დაამარცხა საქართველოს ჩემპიონმა ნ. ბეჟანოვამ, რომელმაც დავიდოვთან ერთად გაიმარჯვა შერეულ წყვილებშიც და შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.

გ. სამანიშვილი.

გაიმართა საქართველოს ნორჩ ავიამოდელისტთა მორიგი პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ყველას თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეორე გუნდის სპორტსმენებმა აჯობეს. II იყო რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის, ხოლო III — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის გუნდები.

პირად პირველობაში გამარჯვება მოიპოვეს: ბლანერებით ასპარეზობაში — ა. ავაქოვმა (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური), რეზინისძრავიანი მოდელებით ტურნირში — ი. მელიქიშვილმა (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური). ამ ჭაბუკმა ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა. ტაიმერის ტიპის მოდელებში გაიმარჯვა ვ. ტერეზოვმა (83-ე სკოლა), ექსპერიმენტულ მოდელებში — ა. ჩერნეცმა (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური) და სხვ.

სურათზე: ი. მელიქიშვილი ასპარეზობისას.

ფოტო და ტექსტი ა. გურასაშვილისა.

ლონისძიება შედეგიანია
და ხელშეწყობა სჭირდება

საქართველოს სოფლის სკოლების მძლეოსანთა ყოველწლიური ტურნირები კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერი ათლეტების გამოვლენას. მათგან ბევრმა რესპუბლიკურ ნაკრებშიც დიმკვიდრა ადგილი და წარმატებით გამოდის საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში.

მაგალითად, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების მძლეოსანთა მატჩში ბირთვის კგრა ქალთა შორის მუხრანის სკოლის ყოფილმა მოსწავლემ მ. თათარაშვილმა მოიგო — 14,11. ეს თათარაშვილის პირველი წარმატება როდია. მას ეკუთვნის საქართველოს გოგონათა რეკორდი. მანვე მოიპოვა პირველობა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში და სხვ.

მატჩში თავი ისახელა ლენტეხელმა ც. ლიპარტელიანმაც, რომელმაც შუბი 45 მეტრზე ტყორცნა. შარშანწინ მან გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, დავსძენთ მხოლოდ, რომ ეს სპორტსმენები ხშირად წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო ტურნირებშიც.

სოფლის სკოლების წლევანდელი შეჯიბრებები, რაც 2 ეტაპად (რაიონული და რესპუბლიკური) გაიმართა, იმედს გვაძლევს, რომ „სპორტის დედოფლის“ საქართველოს ნაკრები კვლავაც საიმედო შევსებას მიიღებს. წლევანდელი ღონისძიება იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ აქ ხდებოდა არა მარტო სპორტსმენთა მომზადების დონის შემოწმება, არამედ მასწავლებლებისა და მწვრთნელების მიერ გაწეული მუშაობის შეფასებაც. ახმეტის 1-ლი სკოლის მასწავლებელსა და ამ რაიონის მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელს გ. ბიგიტაშვილს სოფლის სკოლების ბევრი ნიჭიერი სპორტსმენისთვის გაუკვალავს გზა. სწორედ მისი აღზრდილები არიან საქართველოს ნაკრების წევრები—შუბისმტყორცნელი ნ. ფაჭიზაშვილი და უროსმტყორცნელი ა. ბაგაური. წლევულს კი ჩიგიტაშვილის მოსწავლემ, 15 წლის გოგონამ ნ. კოჩმაზაშვილმა გამოიჩინა თავი სიგრძესა (4,45) და სიმაღლეზე (135) ხტომაში.

ახმეტის რაიონში ქვემო ალვანის საშუალო სკოლაში მუშაობს ნ. ჯიჯურიძე. მისი აღზრდილები არიან საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი, ნიჭიერი მრავალჭიდელი შ. ხოხიაიძე და პირველთანრიგოსანი ბადროსმტყორცნელი შ. თოიურიძე, რომელმაც შემდეგ სპორტის ოსტატობა მოიპოვა ჭიდაობაში. ჯიჯურიძის მოსწავლეა 14 წლის ნ. ვეშაგურიძე, რომელმაც წლევულს გოგონებისთვის კარგი შედეგი აჩვენა 60 მეტრზე რბენაში — 8,8. მას ყველა მონაცემი აქვს, რომ მაღალი კლასის სპრინტერი გახდეს. თავი გამოიჩინა 14 წლის გოგონამ ე. მურთაზაშვილმაც, რომელმაც რესპუბლიკურ ტურნირში პირველობა არავის დაუთმო სიგრძეზე ხტომაში — 460. 15 წლის ა. ჭაკძემ რაიონულ პირველობაში მიიღო მონაწილეობა და ყუმბარა 58,30 მეტრზე ტყორცნა.

ჯიჯურიძეს არც ზემოალვანელი მასწავლებელი მ. მოზაიძე ჩამორჩა. სწორედ მას ეკუთვნის პირველთანრიგოსანი სპრინტერის — დ. ქავთარაშვილისა და მოსწავლეთა შარშანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის, პირველთანრიგოსან ზ. ალხანაიძის „აღმოჩენა“. წლევანდელ შეჯიბრებებში კი მასწავლებელი ასახელებს 14 წლის ნარა ცისკარაშვილმა და 15 წლის ი. მაჩაბლიშვილმა. პირველმა 60 მეტრის გარბენას 8,8 წამი მოანდომა, ხოლო სიგრძეზე—457 სმ-ზე გადახტა. მეორემ კი სიმაღლეზე 150 სმ და სიგრძეზე 561 სმ გადალახა. მათ არც ჯ. ბაჩულაშვილი ჩამორჩა. მისი შედეგებია: 100 მეტრზე რბენაში — 11,3, სიგრძეზე ხტომაში — 655 სმ.

პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენები გამოეზავნენ შეჯიბრებაზე ამ რაიონის სხვა სოფლის სკოლების მასწავლებლებმაც. მაგალითად, ოსიურის სკოლის უმცროსი ასაკის მოსწავლემ ტ. ზასეშვილმა ხელყუმბარა 55,30 მეტრზე ტყორცნა, აამათ ნანიშვილმა კი — 45,45 მეტრზე.

ახმეტელებს ტოლს არც დუშეთელები უდებენ. ანანურის სკოლის ფიზიკაზრდის მასწავლებელმა დ. ქავთარაძემ საქართველოს ნაკრებს ადრე აღუზარდა უროს მტყორცნელი ო. ოდიშვილი, საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში გ. ძაველური, შუბისმტყორცნელი ჰ. ბედუკაძე და ოსტატობის კანდიდატი, სიგრძეზე მხტომელი ციმი ჩოლიაშვილი. წლევულს მისმა მოსწავლემ, 15 წლის ნ. ჩიკოიძემ ხელყუმბარა 52,93 მეტრზე ტყორცნა და 15-16 წლის გოგონათა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. მან ერთბაშად 9,94 მეტრით გაუუმჯობესა ძველი რეკორდი (42,99 მ), რომელიც 1940 წლიდან ტ. ჩერმაკიანს ეკუთვნოდა. ჩიკოიძემ რესპუბლიკურ ტურნირში ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში და II ადგილი დაიკავა ბირთვის კგრაში.

დუშეთის რაიონის სოფლის სკოლების პირველობაში ნიჭიერი სპორტსმენები გამოიყვანა ჭოპორტელმა მასწავლებელმა ვ. ღურბელაშვილმა. 12 წლის ნელი ინაშვილი სიგრძეზე 419 სმ-ზე გადახტა, 14 წლის ნარა ფრანგიშვილი კი — 450 სმ-ზე. სიმაღლეზე ხტომაში მანვე 125 სმ დაძლია. შეიძლებოდა დაგვესახელებინა ამ შეჯიბრების ბევრი სხვა კარგი შედეგიც, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობა ვერ იყო სათანადოდ ორგანიზებული. 100 მეტრზე რბენაში მხოლოდ 4 ჭაბუკი და 3 გოგონა ასპარეზობდა. მონაწილეთა რაოდენობა არც ერთ სახეობაში არ ასცილებია ათს. შეჯიბრება ვერ უზრუნველყვეს სათანადო ინვენტარით, რის გამო უმცროსი ასაკის ჭაბუკები 4-კილოგრამიანის ნაცვლად 3-კილოგრამიან ბირთვს კრავდნენ. არ გამართულა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში. დუშეთელებს სათანადო ინვენტარი აქვთ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მოჭიდავეებს ახლდა თბილისში და მისი საყოფის გაღება ვერავინ გაბედა.

ქარელის რაიონის სოფლის სკოლების მძლეოსანთა ტურნირს ესწრებოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი. მასზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია აგარის სკოლის (მასწავლებელი გ. ლურსმანიშვილი) მოსწავლეს, 14 წლის რ. მურჯიკნელს. ამ გოგონამ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც ისახელა თავი — 60 მ გაირბინა 8,5 წამში.

კარგად მუშაობს ახალციხელი მწვრთნელი გ. ჯიმკარიანი. ადრე მან 3 სპრინტერი მისცა რესპუბლიკურ ნაკრებს, წლევულს კი მისმა აღზრდილმა — 15 წლის გ. ზადოიანმა 100 მ 11,6 წამში დაფარა.

როცა წლევანდელ ასპარეზობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 16 წლის ვანელი გოგონა ი. მამასახლისი, რომელმაც 100 მეტრი 13,7 წამში გაირბინა და სიგრძეზე 447 სმ დაძლია. ქობულეთელ ა. ჟუკოვს ხუთჭიდელის შესანიშნავი მონაცემები აქვს. იგი 100 მეტრს 12,9 წამში ფარავს, ბირთვს 11 მეტრზე კრავს და სხვ.

ზემოხსენებულ პირველობაში ბარისახოელმა ი. წიკლაურმა საგრძნობლად გაუუმჯობესა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი ხელყუმბარის ტყორცნაში — 67,32. ეს 502 სმ-ით აღემატება წალკელ გ. კატანოვის მიღწევას. წიკლაურმა წლევულს მოსწავლეთა სპარტაკიადაშიც დაამყარა ახალი რეკორდი. შუბი — 58,86 სმ-ზე ტყორცნა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, განათლების სამინისტროსა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ღონისძიება შედეგიანია და, მაშასადამე, ხელისშეწყობა და განვითარება სჭირდება.

მაგრამ ყველა რაიონში როდია საქმე კარგად. მაგალითად, საგარეჯოში მთელი ღონისძიება იმით ამოწურეს, რომ სკოლებს დებულებები დაუგზავნეს და თავი ვალმოხდილად ჩათვალეს. ცხადია, ასპარეზობა არ ჩატარებულა. რაიონული განათლების განყოფილების გამგემ ი. ბედიაშვილმა სერიოზულად განაცხადა: არ ვიცოდი თუ მარტო დებულებების გაგზავნა არ კმაროდაო.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არც გურჯაანის რაიონის სკოლები მონაწილეობდნენ. დასანანია. იქ ხომ ბევრი კარგი სპორტსმენი აღზრდილა. ფინანსური ასპარეზობაში გუნდები არც აჭარამ, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა წარმოადგინეს.

გამორიცხვა ისიც, რომ ბევრ რაიონში ცენტრიდან დაშორებულ სკოლებს საერთოდ არ გაუმართავთ სასკოლო პირველობები. ეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ არ დაეხმარნენ „კოლმეურნის“ რაისაბჭოებისა და განათლების განყოფილებათა მუშაკები.

აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, პროგრამის ბევრ სახეობაში მაჩვენებლები ახლა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე წინა წლებში. ეს, რა თქმა უნდა, სოფლის ახალგაზრდობის მზარდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

საერთო გუნდურ პირველობაში დუშეთის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. II ადგილი დაიკავეს ქობულეთის, III — ახმეტის რაიონის მძლეოსნებმა. სასკოლო კოლექტივებში ყველას დუშეთის რაიონის ანანურის სკოლის სპორტსმენებმა აჯობეს და მესამედ დაისაკუთრეს განათლების სამინისტროს გარდამავალი დროშა. II ადგილზე გავიდნენ ჯინისის (წალკა), ხოლო III — მუხაესტატეს (ქობულეთი) სკოლების მძლეოსნები.

ბ. ტახტაროვი.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მოზარდთა კომისიის თავმჯდომარე.

სამი ცდის ჭაშეი

კარტინგი სპორტის ყველაზე „ახალგაზრდა“ სახეობაა საქართველოში. ამის მიუხედავად, მან საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა სპორტის ტექნიკური სახეობების მოყვარულთა შორის. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ რესპუბლიკურ პირად-გუნდურ პირველობაში დედაქალაქის 5, თელავის 2, სოხუმის, მახარაძის, რუსთავისა და ახალციხის თითო გუნდი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო რკალურ-საგზატკეცილო რბოლა 125 და 175 კგ სმ-ის მანქანებით. ასპარეზობის მონაწილეებს ერთკილომეტრიანი წრე 3 ცდით 36-ჯერ უნდა შემოეფლოთ. უპირატესობა ენიჭებოდა იმ სპორტსმენსა და კოლექტივს, რომელიც 3 ცდის ჯამში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებდა.

125 კგ სმ-ის კარტინგებით ტურნირში თავიდანვე დაწინაურდნენ თბილისელები: 14 წლის რ. აკოფოვი, მამამისი — ი. აკოფოვი (ორივენი II გუნდი), რ. ზუკაკიშვილი (თბილისი III) და რ. ცირეკიძე (თბილისი IV). უკვე მეორე ცდისას ერთპიროვნული ლიდერი გახდა რ. აკოფოვი. მან წარმატებით ჩაატარა მესამე ცდაც, აბოლოოდ 67 ქულა დააგროვა და I ადგილი მოიპოვა. გამარჯვებულს 6 ქულით ჩამორჩა რ. ზუკაკიშვილი, III პრიზიორმა — რ. ცირეკიძემ 54 ქულა მოიპოვა და ერთი ქულით აჯობა ი. აკოფოვს.

175 კგ სმ-ის მანქანებით რბოლაში თბილისის I გუნდის წევრს თ. ცხაკაიას ღირსეული მეტოქეობა გაუწია. მან სამივე ცდა მოიგო, 75 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. მეორე იყო თბილისის III გუნდის წევრი ნ. მაისაშვილი (66 ქულა), რომელიც სამჯერვე მხოლოდ ცხაკაიას ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა ვ. არუთინოვმა (თბილისის IV გუნდი) — 54 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა ხვდა თბილისის III კოლექტივს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რ. ზუკაკიშვილი და ნ. მაისაშვილი. ამ დუეტმა 127 ქულა მოაგროვა და 5 ქულით აჯობა დედაქალაქის I გუნდს (თ. ცხაკაია, ო. რუხაძე). III ადგილზე გავიდნენ მამა-შვილი ი. და რ. აკოფოვები (თბილისი II) — 119 ქულა.

შეჯიბრებამ ცხადყო თბილისელი სპორტსმენების ტექნიკური დონის ზრდა. ეს თელავისა და მახარაძის გუნდებშიც შეიმჩნევა.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფი

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

„შალგირისი“ (ვილნიუსი)	16	10	3	3	29—14	23
„უუგანი“ (კრასნოდარი)	16	7	7	2	24—7	21
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	16	7	6	3	23—15	20
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	16	5	8	3	21—16	18
„დინამო“ (კიროვაბადი)	16	5	8	3	15—10	18
„რუბინი“ (ყაზანი)	16	7	4	5	15—13	18
„თორპედო“ (გროზნო)	16	5	8	3	12—13	18
„დაუგავა“ (რიგა)	16	6	5	5	22—15	17
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	16	6	4	6	17—20	16
„დინამო“ (სტავროპოლი)	16	5	5	6	9—12	15
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	16	5	4	7	11—16	14
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	15	4	6	5	8—13	14
„დინამო“ (ბათუმი)	16	5	3	8	17—24	13
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	16	3	7	6	14—21	13
„სპარტაკი“ (გომელი)	16	3	6	7	8—18	12
„დინამო“ (ტალინი)	15	3	5	7	12—15	11
„შირაკი“ (ლენინაკანი)	16	1	7	8	11—23	9

როსტოვი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (ბათუმი).

მატჩი მოიგეს როსტოველებმა ანგარიშით 4:1.

„ა“ კლასი
II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	17	10	4	3	29—14	24
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	16	11	2	3	15—8	24
„ლერნაგორცი“ (ყაფანი)	17	8	5	4	20—16	21
„მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.)	16	7	5	4	29—19	19
„სპარტაკი“ (ყისლოვოდსკი)	15	7	5	3	13—8	19
„ლორი“ (კიროვაკანი)	17	6	7	4	15—14	19
„კოლხიდა“ (ფოთი)	16	7	4	5	16—11	18
„მეტალურგი“ (რუსთავი)	16	6	6	4	22—20	18
„დინამო“ (სოხუმი)	16	6	4	6	20—15	16
„უროჟაი“ (კრიმსკი)	16	8	0	8	21—21	16
„მეშახტე“ (ტყიბული)	16	6	3	7	26—15	15
„ენგური“ (ზუგდიდი)	16	6	3	7	19—19	15
„უროჟაი“ (მაიკოპი)	16	5	5	6	18—18	15
„დილა“ (გორი)	16	5	5	6	13—17	15
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	17	4	6	7	19—23	14
„ალაზანი“ (გურჯაანი)	16	5	3	8	15—17	13
„ურალანი“ (ელისტა)	16	3	6	7	14—28	12
„დინამო“ (მახაჩყალა)	16	3	5	8	15—25	11
„არაქსი“ (ერევანი)	16	3	5	8	11—23	11
„უროჟაი“ (დერბენტი)	16	2	4	10	15—41	8

რეგბისტები ასპარეზობისას. ფოტო ა. ჭურდიანისა.

ფეხბურთი

„ბ“ კლასი
IV ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (ბაკური)	17	12	3	2	34—12	27
„ბორბალი“ (ბაკური)	17	11	3	3	32—14	25
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	9	4	4	27—14	22
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	9	3	5	27—16	21
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	8	3	6	24—18	19
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	7	4	6	22—18	18
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	7	4	6	21—18	18
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	6	4	7	18—21	16
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	6	3	8	18—22	15
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	5	4	8	16—24	14
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	5	3	9	16—26	13
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	4	4	9	16—27	12
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	4	3	10	16—28	11
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	3	4	10	15—31	10
„ბაკინელი“ (ბაკური)	17	2	4	11	14—34	8

ვაჟკაცები, გოლეები, ვაჟკაცები

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტური ერთ-ერთი ყველაზე „ძუნწი“ აღმოჩნდა მიმდინარე გათამაშებაში. 8 ივლისს გაიმართა 6 მატჩი და ყოველ თამაშს თითო გოლიც კი არ უწევს. 3 შეხვედრაში ანგარიში საერთოდ არ გახსნილა, დანარჩენებში გატანილ იქნა სულ ... 5 ბურთი.

შედარებით შედეგიანი იყო 9 ივლისის დღე. 3 მატჩში გატანილია 7 ბურთი, ე. ი. ტურმა, რომელშიც მონაწილეობდა 18 გუნდი, სულ მოგვცა 12 გოლი.

უშედეგოდ დამთავრდა „შახტორის“ მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“, ცსკა-ის კიევის „დინამოსთან“ და „კრ. სოვეტოვისა“ — მინსკის „დინამოსთან“. ერევნის „არარატის“ 2 გოლის ავტორები „ნეფტიანიკთან“ იყვნენ კაზარიანი და გალსტიანი.

ოდესის არმიელთა გუნდისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩში ანგარიში გახსნა ამბარცუმიანმა („სპარტაკი“), ხოლო სპასუხო გოლი გაიტანა კოროტკოვმა. მოხდა ინციდენტიც: უსეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს სპარტაკელი იანიშევსკი.

როსტოვის არმიელებმა საკუთარ მინდორზე დამარცხება განიცადეს „ლოკომოტივისგან“ (ბურთები გაიტანეს კოროტკოვმა და კოზლოვმა), რის შემდეგ მოსკოვის რკინიგზელთა კოლექტივმა, როგორც იქნა, დატოვა ბოლო ადგილი, რომელიც დიდი ხანია მის ერთპიროვნულ მფლობელობაში იმყოფებოდა.

დაბოლოს, მატჩი ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტსა“ და სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. იგი მიმდინარეობდა წყლით დაფარულ მინდორზე. „ზენიტმა“ გაიტანა 2 გოლი (გუსევი, ვარლამოვი), „ტორპედომ“ — ერთი (სერგეევი).

ამრიგად, გათამაშების ცხრილში ყველა მაჩვენებლით საუკეთესო შედეგები აქვს კიევის „დინამოს“. იგი ლიდერია (23 ქულა), გატანილი აქვს ყველაზე მეტი ბურთი (29), მიღებული—ყველაზე ნაკლები (4), მოიგო 9 მატჩი, მათგან 4 — დიდი ანგარიშით და ისევე, როგორც „პახტაკორს“, არ წაუგია არც ერთი თამაში.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ი. ავრუცკიმ („დინამო“, მოსკოვი) და ბ. კაზაკოვმა (ცსკა) გაიტანეს 8 ბურთი თვითეულმა, ხოლო ა. ბიშეევმა („დინამო“, კიევი), გ. მატვეევმა (ასკ, როსტოვი) და ვ. მოსკალენკომ („წერნომორეცი“) 7-7.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვ. მოსკალენკო ნახევარმცველია და ადგილი უჭირავს სნაიპერთა შორის.

თბილისის „დინამოში“ ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა ი. დათუნაშვილი, ქუთაისის „ტორპედოში“ — ვ. ჩხარტიშვილი და გ. ნოდია. თვითეული მათგანის ანგარიშშია 6 გოლი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	17	10	4	3	29—14	24
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	16	11	2	3	15—8	24
„ლერნაგორცი“ (ყაფანი)	17	8	5	4	20—16	21
„მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.)	16	7	5	4	29—19	19
„სპარტაკი“ (ყისლოვოდსკი)	15	7	5	3	13—8	19
„ლორი“ (კიროვაკანი)	17	6	7	4	15—14	19
„კოლხიდა“ (ფოთი)	16	7	4	5	16—11	18
„მეტალურგი“ (რუსთავი)	16	6	6	4	22—20	18
„დინამო“ (სოხუმი)	16	6	4	6	20—15	16
„უროჟაი“ (კრიმსკი)	16	8	0	8	21—21	16
„მეშახტე“ (ტყიბული)	16	6	3	7	26—15	15
„ენგური“ (ზუგდიდი)	16	6	3	7	19—19	15
„უროჟაი“ (მაიკოპი)	16	5	5	6	18—18	15
„დილა“ (გორი)	16	5	5	6	13—17	15
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	17	4	6	7	19—23	14
„ალაზანი“ (გურჯაანი)	16	5	3	8	15—17	13
„ურალანი“ (ელისტა)	16	3	6	7	14—28	12
„დინამო“ (მახაჩყალა)	16	3	5	8	15—25	11
„არაქსი“ (ერევანი)	16	3	5	8	11—23	11
„უროჟაი“ (დერბენტი)	16	2	4	10	15—41	8

მორიგი ტურის მატჩები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონაში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლორი“ (კიროვაკანი) — „ლერნაგორცი“ (ყაფანი) 2:3, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „არაქსი“ (ერევანი) 1:2, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) 0:1, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:1, „ურალანი“ (ელისტა) — „უროჟაი“ (დერბენტი) 5:3, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:1, „სპარტაკი“ (ყისლოვოდსკი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0.

„ბ“ კლასი
IV ჯგუფი

იოლი გამარჯვება

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 12 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ხიმიკი“ (ჩირჩიკი) 7:0 (3:0).

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, შუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური (ჭელიძე), ახალკაცი, გავაშელი.

„ხიმიკი“: მირზაევი, სოლოვიოვი, გორბაჩოვი, ბედნიაკი, პეტროვი, პერვუშინი, სინელობოვი, გოლეევი, ქერიმოვი, ბაირამალიევი (ბარაკო), სადოვნიკოვი.

მსაჯი გ. კარაპეტიანი (ერევანი).

ქ. ჩირჩიკის „ხიმიკი“ „ბ“ კლასის შუა აზიის ზონის წარმომადგენელია. ამდენად, მას დიდი სამშობლოება არ უნდა შეექმნა ლოკომოტიველთათვის საკავშირო თასის გათამაშებაში, თუმცა ამ გუნდის აქტივში ითვლება გამარჯვება ხარკოვის „ავანგარდთან“ ანგარიშით 2:0.

მაგრამ სინამდვილემ გადააჭარბა მოლოდინს და სტუმრებმა ფაქტიურად ვერაფითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს თბილისელებს, განსაკუთრებით თამაშის მეორე ნახევარში. თუ შესვენებამდე „ხიმიკმა“ რამდენიმე შეტევის განხორციელება მაინც შეძლო, შემდგომში მან არსებითად დაკარგა ფარ-ხმალი.

ანგარიში გაიხსნა უკვე მე-5 წუთზე. ეს იყო მაზიაშვილის მიერ ოსტატურად, გაბედულად გატანილი გოლი — 1:0. „ლოკომოტივის“ იერიშებში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები და შემდგომი 2 გოლი სწორედ ამ ხაზის წარმომადგენელნი — ძაგანიას ავტორობით იქნა შესრულებული — 3:0.

მეორე ტაიმში გოლები ასეთი თანმიმდევრობით იქნა გატანილი: გავაშელი, ჭელიძე, მაზიაშვილი (პენალტი) და შუმლაძე — 7:0. ეს ანგარიში, ვფიქრობთ, არ საჭიროებს კომენტარებს.

თბილისის „ლოკომოტივის“ მორიგი შეტოქე თასის გათამაშებაში იქნება „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის წარმომადგენელი, ფრუნზეს „ალგა“. მათი შეხვედრის ადგილს გამოარკვევს კენჭისყრა.

დიდი ტურნირის წინ

13-18 ივლისს თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი დედაქალაქი მასპინძლობას გაუწევს სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და პოლონდიის სპორტსმენებს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე, საქართველოს ნაკრები.

საერთაშორისო ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს. ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრები ამ ასპარეზობაში მეტად სასარგებლო გამოცდილებას შეიძენს. ტურნირი მას შესაძლებლობას მისცემს შეამოწმოს თუ როგორ მოემზადნენ ჩვენი ფრენბურთელები სტუდენტთა საკავშირო თამაშებისთვის, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ იწყება. ჩვენი სტუმრებისთვის — სსრ კავშირის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და პოლონდიის გუნდებისთვის კი ეს ასპარეზობა იქნება გენერალური რეპეტიცია მსოფლიო პირველობის წინ, რომელიც პრაღაში მიმდინარე წლის სექტემბერს გაიმართება.

ა. ამირანაშვილი.
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

საბჭოთა სპორტსმენების პროტესტი

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხროვის თავაშვებული ქცევა სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს. ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების ახალი დაბომბვა საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობის შეშფოთებას, მრისხანებასა და გულისწყრომას იწვევს. კაცობრიობის სიმპათიები თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა. ჩვენი ხალხის გულისწყრომას ხმა შეუერთეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც შეიკრიბნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომის გამო ვიეტნამში.

„ჩვენ არ შეგვიძლია ვუსტუმროთ სახლს, რომლის პატრონიც უგულებელყოფს ჩვენს პლანეტაზე ადამიანური ურთიერთობის ელემენტარულ წესებს“. ეს სიტყვები სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების კაპიტანმა, მოსკოველმა ასპირანტმა, ევროპის რეკორდსმენმა ი. ტერ-ოვანესიანმა წარმოთქვა უძლიერეს მძლეოსანთა და კალათბურთელთა კრებაზე, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში მოეწყო. ვიეტნამში ამერიკელთა აგრესიის მიმართ პროტესტის ნიშნად სპორტსმენებმა გადაწყვიტეს არ მიიღონ მონაწილეობა სსრკ — აშშ-ის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩსა (ეს ასპარეზობა უნდა გამართულიყო 23.24 ივლისს ლოს-ანჟელოსში) და ამერიკელ კალათბურთელებთან შეხვედრებში, რაც ივლისისთვის იყო განზრახული.

სიტყვით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები — სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი ვ. ვოლნოვი და თ. პრესი. კრებაზე მოვიდა ჯერ კიდევ ავადმყოფი ვ. ბრუმელი. მისი თხოვნით, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ბარკოვსკიმ წაიკითხა ბრუმელის განცხადება, რომელშიც სახელგანთქმული სპორტსმენი აღშფოთებას გამოთქვამს ვიეტნამში ამერიკის პოლიტიკის გამო.

საბჭოთა სპორტსმენებმა ერთსულოვნად მიიღეს პროტესტის რეზოლუცია.

ჯაჭვი ჯაჭვში

● **მოსკოვი**, 11 ივლისი. მოცურავე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე კვლავ ისახელა თავი ახალგაზრდა სპორტსმენმა ლ. ილინოვმა. წინდღით მან მოიგო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონის ოქროს მედალი, ხოლო დღეს საკავშირო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მისი დროა 1.58,9.

● **მოსკოვი**, 11 ივლისი. მოფარიკაველთა მსოფლიო ჩემპიონატზე დღეს გამოვლინდნენ რაპირით შებრძოლ ქალთა ფინალური ასპარეზობის მონაწილენი. ესენი არიან: საბჭოთა სპორტსმენები ვ. რასტვოროვა, ა. ზაბელინა, ტ. სამუსენკო და გ. გორობოვა. მათ გარდა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლისთვის იბრძოლებენ რუმინელი ე. ენჩიკი და უნგრელი ი. ბობიში.

◆ სომბათხელი (უნგრეთი), 10 ივლისი. ლ. ასტალოშის მემორიალის IV ტურში ბრონშტეინმა მოუგო ლენდიელს, ლილიენტალმა — პაოლის. ჩომ — ულმანის, დელი — ფლეშის, ხაკ — ბუკიჩის, ბარცაი — კვალეკისა და ბილეგ — ჩოკილტაას შეხვედრები ყაბმით დამთავრდა. ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ბარცაის, ბილეგსა და ულმანს 3-3 ქულა აქვთ, დელის, ლილიენტალს, ფლეშსა და ხაკს — 2,5-2,5.

კრივი საჭირო და სასარგებლოა

ამ ბოლო ხანს საზღვარგარეთ დიდ აჟიოტაჟს იწვევს კრივის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ პროფესიულ რინგზე რამდენიმე შეხვედრა ტრაგიკულად დასრულდა, ვინაიდან პროფესიონალები ხშირად იყენებენ აკრძალულ ილეთებს. პროფესიული და სამოყვარულო კრივი შეფარდებითი ცნებებია. სამოყვარულო კრივი პროფესიულისგან იღებს სათავეს, მაგრამ წლების მანძილზე იგი იხვეწებოდა და ამჟამად ძირფესვიანად განსხვავდება პირველ წყაროსგან.

ფაქტები ადასტურებენ, რომ სამოყვარულო კრივი ამჟამად დიდი აღმავლობის პერიოდშია და არასოდეს არ ჰყოლია ამდენი ტალანტი. გასაკვირი რადა, რომ საუკეთესო პროფესიულ მოკრივეთა სიებში ახლა მრავლად შეხვდებით ყოფილ ოლიმპიელთა, ევროპის სამოყვარულო პირველობებისა და სხვა ტურნირების მონაწილეთა გვარებს. მოყვარულ მოკრივეთა ხშირი გადასვლა ბურჟუაზიული რინგის „გლადიატორთა“ რიგებში გასლავთ ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება სპორტის ამ კეთილშობილური სახეობის განვითარების გზაზე. ამ ხვედრს ვერ გაექცნენ ოლიმპიური ვარსკვლავები, XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები — ფ. პატერსონი, ე. სანდერსი, XVI ოლიმპიური თამაშებისა — ტ. სპინქსი, ტ. რადმახერი, XVII ოლიმპიური თამაშებისა — ფ. მუსო, დ. ბენვენუტი, ე. კრუკი, ფ. დე პიკოლი და მსოფლიოს ამჟამინდელი აბსოლუტური ჩემპიონი პროფესიონალებში მუჰამედ ალი (კ. კლეი).

რატომ? იქნებ სწორედ პროფესიული კრივია ნამდვილი კრივი? — არა!

პროფესიული მეპატრონეები იტყუებენ მოყვარულ მოკრივეებს, თვალებს უხვევენ არნახული კარიერით. საქმოსანი მენაჯერები მათ ზღაპრული ქვეყნისკენ ჰპირდებიან გზის გაკაფვას და „სამოთხის“ ცოთნებას ბევრი როდი უძღებს.

მაგრამ უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ყველა მოყვარული მოკრივე მხოლოდ ფულის გამო გადადის პროფესიონალებში.

ბევრ მათგანს სურს ძალა მოსინჯოს მსოფლიოს უძლიერეს პროფესიულ მოკრივეებთან ჭიდილში და მსოფლიოს პირველი ხელთათმანის წოდება მოიპოვოს. ამის ნათელი დადასტურებაა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონისა და ევროპის „ოქროს ქამრის“ ორგზის მფლობელის ლ. პაპის მაგალითი. გამონაკლისის სახით, უნგრეთის მთავრობამ პაპს პროფესიულ რინგზე გამოსვლის ნება დართო. პროფესიულ რინგზე იგი არც ერთხელ არ დამარცხებულა. ბევრი მოკრივე გაურბოდა პაპთან შეხვედრას, რადგან მასში მსოფლიო ჩემპიონობისთვის მებრძოლ მრისხანე მეტოქეს ხედავდა. უნგრელ მოკრივეს არაფერი დაუთმია პროფესიული კრივის მესვეურებისთვის. ამიტომ, პაპმა ვერ მოახერხა მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის წოდებისთვის ებრძოლა. იგი მაინც ერთგული დარჩა თავის თავისა. პროფესიულ რინგზე გამოსვლებმა პაპს შესძინა დიდი გამოცდილება, რომელსაც იგი თავის აღსაზრდელებს გადასცემს.



ცოტაოდენი სტატისტიკა...

რამდენიმე წლის წინ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, ინგლისში, კრივის აკრძალვის საკითხი წამოჭრა. როცა ეს ამბავი ლორდთა პალატის განხილვის საგნად იქცა, ერთ-ერთმა ლორდმა თქვა: „ახალგაზრდობისთვის კრივს დიდი სარგებლობა მოაქვს, როგორც აღმზრდელობითი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით, სიკვდილის შემთხვევები კი სპორტის ყოველ სახეობაში გვხვდებაო“. ლორდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბრიტანეთის კუნძულებზე (1956-1958 წ. წ.) სპორტში სიკვდილის 50 შემთხვევაა აღრიცხული და აქედან კრივზე მხოლოდ ერთი მოდის. მარტო კრიკეტში (რომელიც ინგლისში კრივზე ნაკლები პოპულარობით როდი სარგებლობს) 14 სპორტსმენი დაიღუპა (მათგან 13 თავის ტრავმის შედეგად)“.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მსოფლიოში აქტიურ კრივს მისდევს მილიონნახევარი მამაკაცი და ჭაბუკი. მათგან ერთ წელიწადში მხოლოდ 10 დაიღუპა უბედური შემთხვევით. ამასთან, ათიათეს სიკვდილი რინგზე მიღებული ტრავმებით როდი იყო გამოწვეული. ამ ხნის მანძილზე ამერიკულ ფეხბურთში სიკვდილის 20-მდე შემთხვევაა აღნუსხული, ევროპულში—15-მდე. ანალოგიური ციფრების მოტანა შეიძლებოდა სამთო-სათხილამურო, საავტომობილო, მოტოსპორტიდან, მთამსვლელობიდან, მაგრამ ეს დააშინებდა ახალგაზრდობას. კრივში მომხდარ ყოველ უბედურ შემთხვევას კი რაც უნდა იმვიათი იყოს იგი, მუდამ ზედმეტად აზვიადებენ ხოლმე. მაგალითად, როცა ამერიკელი მოკრივე, XVII ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალისტი გ. კემპბელი პროფესიულ რინგზე ბრძოლაში დაიღუპა, გაზეთები პირველ გვერდებზე იუწყებოდნენ, რომ უბედურების მიზეზი იყო მრავალრიცხოვანი დარტყმები თავში. მხოლოდ მოგვიანებით გამირკვა, რომ კემპბელი სამხედრო სამსახურს საპარაშუტო ნაწილში გადიოდა და 27-ე ნახტომისას თავისა და ხერხემლის სერიოზული ტრავმა მიიღო. დემობილიზაციის შემდეგ მას სასტიკად აუკრძალეს კრივში და სპორტის ყოველგვარ სახეობაში ვარჯიში. მან კი ეს ყურად არ იღო. აი, რა იყო უბედური შემთხვევის ნამდვილი მიზეზი!

ყურად ვიღოთ ექიმების აზრი...

1961 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბელგრადში მოეწყო ექიმების სიმფოზიუმი, რომელზეც ითქვა, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ სამოყვარულო სპორტში ნამდვილ ჰუმანურობას, წმინდა სპორტულ ბრძოლას და ყოველგვარი უხეშობა აღვკვეთოთო. აქ გამოჩნდა ზრუნვა არა მარტო მოკრივეთა ჯანმრთელობაზე, არამედ მაყურებელთა ჯანსაღი ფსიქიკით აღზრდაზეც.

ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილ ნევროპათოლოგთა და სპორტულ ექიმთა თათბირმა, რომელიც კრივის მავნებლობის საკითხებს მიეძღვნა, საბოლოოდ დასკვნა, რომ მოკრივის ჯანმრთელობას ნოკაუტი არ ემუქრება. ასეთი დარტყმა არ იწვევს ტვინის შერყევას, ათავისუფლებს ნერვულ იმპულსებს, რასაც შემდეგ ტვინის ზოგიერთი ნაწილის დროებითი პასიურობა მოსდევს. ექიმები ამტკიცებენ, რომ ნოკაუტი იმდენადვე მოქმედებს, რამდენადაც სხვა ძლიერი განცდის შედეგად გამოწვეული დარეტიანება ან გრძნობის დაკარგვა. ეს შეხედულება ექსპერიმენტებმა და ათასობით ელექტროენცეფალოგრამებმა დაადასტურეს.

კრივი სასარგებლოა!

ზოგიერთ ქვეყანაში დადგა აღზრდის სპარტანულ ფორმებში ფიზკულტურასა და სპორტში პროფილაქტიკური საშუალებების ძიების აუცილებლობის საკითხი. ეს განსაკუთრებით იმ სახეობებს შეეხება, რომელშიც მეტია ორთაბრძოლის ელემენტი, რა სახეობაც ადამიანს ფიზიკურად და სულიერად აწრთობს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში კრივის პოპულარობა იზრდება. ეს სახეობა სულ უფრო ფართოდ ინერგება სკოლებში, როგორც ფიზიკური და მორალური აღზრდის საუკეთესო გზა. რა თქმა უნდა, „სასკოლო“ კრივი შეზღუდულია წესებით, საგანგებო პედაგოგიური და სამედიცინო კონტროლით.

ახალგაზრდობას ასწავლიან თავდაცვის ხელოვნებას, ფრთხილად აჩვენებენ შეჯიბრების ფორმებს. თუმცა მათგან ბევრი როდი გადის დიდ სპორტულ სარბიელზე.

კრივი ადამიანს ხელს უწყობს დისციპლინისა და თვითკონტროლის გამომუშავებაში, გადააჩვევს მას პაპიროსის წევასა და სპირტიან სასმელებს, უვითარებს სპორტსმენებს საუკეთესო მორალურ თვისებებს, წვრთნის გონებასა და კუნთებს სწრაფი, შეთანხმებული მოქმედებისთვის. ამაოდ როდი მისდევდნენ კრივს და მისი მხურვალე თაყვანისმცემლებიც იყვნენ დიდი მწერლები — ჰუმანისტები — ბაირონი, ლონდონი, შოუ, ჰემინგუეი.

ცნობილი საზღვარგარეთელი სპეციალისტების აზრით, კეთილი ნების ადამიანებმა კრივს კი არ უნდა უკიტინონ ნაკლოვანებებზე, არამედ თავადაც ყოველი ღონით უნდა უცადონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ს. ალეკიანი.

ბუში...

ლუუნიკის სპორტის სასახლის საფარიკაო ბილიკებზე 6 რაპირისტი ქალი ეცილებოდა ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს. ამ მაღალი წოდების მფლობელი პირველად გახდა საბჭოთა სპორტსმენი, მინსკელი ტ. სამუსენკო. ვერცხლის მედალიც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ა. ზაბელინამ მოიპოვა. საბჭოთა სპორტსმენ გ. გორობოვასთან ერთად ბრინჯაოს მედალს დაეპატრონენ რუმინელი ე. ენჩიკი და უნგრელი ი. ბობიში, ეს ფარიკაობის ისტორიაში არნახული შემთხვევაა.

სურათზე: შეჯიბრების საერთო ხედი.

მოდელები — ცისფერ ბილიკზე

ბათუმში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს პირველობა გემსამოდელო სპორტში. ასპარეზობაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ დედაქალაქის სპორტსმენები და გუნდური პირველობაც დაისაკუთრეს. II ადგილი წილად ხვდა სოხუმის, ხოლო III — მასპინძელთა კოლექტივს.

პირად ასპარეზობაში „მ“ კლასის იალქნიანი ნავების მოდელებით ტურნირი მოიგო თბილისელმა თ. ლატარიამ, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი (100 ქულა) მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ლატარია კარგად გამოვიდა 5 კგ სმ მოცულობის ძრავიანი ჩქაროსნული მოდელებით ასპარეზობაშიც. აქ მეორე იყო ბათუმელი ნ. ნესტოროვი, რომლის მოდელმა საათში 115,4 კმ სისწრაფე განავითარა. ამით ნესტოროვმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

„10“ ჯგუფის იალქნიანი ნავების მოდელებით ტურნირი მოიგო თბილისელმა ა. პავლოვმა. 2,5 კგ სმ მოცულობის მოტორიანი სწრაფმავალი გემების მოდელების შეჯიბრებაში ახლაც ბადალი არ ჰყავდა თბილისის საზღვაო კლუბის ინჟინერის, სპორტის ოსტატ კ. პაჭკორიას ნამუშევარს. წყალქვეშა ნავებით შეჯიბრება სოხუმელი სპორტის ოსტატის ა. დენენკოს „გემის“ უპირატესობით დამთავრდა.

თ. დალაქიშვილი,
თბილისის დოსააფის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: თბილისელი მოდელისტები კ. პაჭკორია და თ. ლატარია სწრაფმავალი მოდელით ასპარეზობის დაწყებამდე.

ფოტო ვ. დუბინინასი.



ავტო ეთერ

ილგლიანი...

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ქალაქში ეწყობა „ადამისდროინდელი“ მარკის ავტომობილების რბოლა.. ასპარეზობის წესებით პრიზს მიიღებს ის მძღოლი, რომლის მანქანაც პირველი შეეხება თვლებით ფინიშის ლენტს.

1963 წელს ქალაქ კოლუმბუსში გამართული ასეთი რბოლის დროს მაყურებელი ორიგინალური შემთხვევის მოწმე გახდა:

ძველმა მანქანამ, რომელიც ლიდერს მისდევდა, ფინიშის წინ დაიწყო დაშლა. ჯერ ჩამოუვარდა ცალი ფრთა, შემდეგ—ორივე ფარი, მერე გაუტყდა ჩარჩო... ფინიშამდე ათიოდე მეტრი დარჩა, როცა ძრავა ჩაუქრა! მაგრამ „ილბლიანი“ ავტომობილი ინერციით განაგრძობდა სვლას, უცებ წინა თვალი მოძვრა, ფინიშისკენ ვაგორდა და ლიდერ-მანქანას გაუსწრო. ამ თვალმა პირველმა გადალახა ფინიშის ხაზი.

მსაჯებმა მტკიცედ დაიცვეს ასპარეზობის წესები: პრიზი მიიღო... დაშლილი და დანგრეული მანქანის მძღოლმა.

შეურიგებელი მოწინააღმდეგე

მდიდარი იტალიელი, ქალაქ მილანის მცხოვრები ჯუზეპე პიტი ავტომობილების ყველაზე უბოროტესი მტერი იყო და არც არასოდეს ჩამჯდარა ავტომობილში. იგი დადიოდა ეტლით ან ფეხით. საკმაოდ დიდი შესაწირი ჰქონდა ავტომობილიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კამპანიაში და იყო ფეხით მოსიარულეთა კავშირის თავმჯდომარე.

ჯუზეპე პიტი 1963 წელს გარდაიცვალა 84 წლისა. თავისი 1,5 მილიონი ლირი უანდერძა სამ უკანასკნელ მოჰიკანს — მილანელ მეეტლეებს, რომლებმაც ამ ფულით მაშინვე იყიდეს... ავტომობილი-ტაქსი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფრუნგაურთი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. **13-18 ივლისი.** მონაწილეობენ: **სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჰოლანდიისა** და **საქართველოს** ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების კალენდარი: **13 ივლისი.** საქართველო — სსრ კავშირი. დასაწყისი 19 ს. 30 წ. **14 ივლისი.** ბულგარეთი — იუგოსლავია. დასაწყისი 19 ს., საქართველო — ჰოლანდია. დასაწყისი 20 ს. **15 ივლისი.** სსრ კავშირი — ჰოლანდია. დასაწყისი 19 ს., საქართველო — ბულგარეთი. დასაწყისი 20 ს. **16 ივლისი.** სსრ კავშირი — ბულგარეთი. დასაწყისი 20 ს., საქართველო — იუგოსლავია. დასაწყისი 21 ს. **17 ივლისი.** ჰოლანდია—იუგოსლავია. დასაწყისი 19 ს. 30 წ. **18 ივლისი.** ჰოლანდია — ბულგარეთი. დასაწყისი 19 ს., სსრ კავშირი — იუგოსლავია. დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 ფ 06006